თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 1

06 იანვარი 2020 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 24 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილ თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**გიგა ორკოდაშვილი**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**დავით გოგოშვილი;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ნანა ხვისტანი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**ლევან ლილუაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე	**მაია მარკოზაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე	**ტიტე დარეჯანიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე	**გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე	**არჩილი თვალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე	**ალექსანდრე კუპატაძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე	**ვასილ არაბული;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე	**გიგა მამუკელაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარის მოადგილე	**ზურაბ ნაცარაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ზაქარია გრიშიკაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი,უჩა ჭოტიაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი **დავით ქსოვრელიშვილი;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები.

მოქალაქე **არჩილ მჭედლიშვილი.**

თავმჯდომარემ ისაუბრა რიგგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზის შესახებ და საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 ივლისის №42 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

აღნიშნული სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე **საკრებულოს ყველა წევრმა.**

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 ივლისის №42 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

დ.ქსოვრელიშვილმა დეტალურაი განმარტებები გააკეთა პროექტში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: **ი.პარწიკანაშვილმა,**

ა.მახარიაშვილმა დასვა კითხვა სოფელ ნაფარეულში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით, რაზეც განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე — არჩილი თხლაშიძე

TELAVI MUNICIPALITY COUNCIL GEORGIA 231291535